

გარეულია — ფინისური

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo



№ 90
(11 547)

16 - 19 ნოემბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

**სფფ — საგაგალითო
ფედარაცია ევროპაში**

სფფ-ს აღმასკომის სხდომები რომ მაღალ დონეზე ტარდება და იქ მუდამ საქმიანი ატმოსფერო სუფევს, ამას უკვე შევეჩვიეთ. ამჯერად განსაკუთრებით მოუნდომებიათ, რადგან ხშირად როდი ხდება, როცა ევროპული ფედერაციის აღმასკომის მუშაობაში უფასო ემისიები მოწინააღმდეგეობენ. სხდომის დარბაზშიც ევროპული დონისა შეურჩევიათ — სასტუმრო „სიმპათია“, სადაც სინქრონიზირებული თარგმანის იდეალური პირობებიც იყო. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასეთი დონის სხდომა, ქართული სპორტის სინამდვილეში ჯერ არ ჩატარებულა. იქნებ სწორედ ეს გახდეს კარგი დასაწყისი.

ახლა მთავარზე, ანუ იმ შთაბეჭდილებაზე, რაც სხდომის მსვლელობისას დაგვრჩა. სფფ-ს პრეზიდენტის თბილისში არყოფნის გამო, აღმასკომის მუშაობას უძღვებოდა ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე. ჩვენთვის და ალბათ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვისაც,

იხ. მე-4 გვ.

**ვაჭრობა ნიჭიერი
გაუპუგის ბალანდის ხარჯზე**

**ფიქრები საქართველოს ნორჩ წყალმტობელთა
ბოლო წარმატების შემდეგ**

ეს ფიქრები იმ რეალობამ აღძრა, რომლის წინაშეც ქართული სპორტის ერთი სახეობა, კერძოდ, წყალსატობა აღმოჩნდა. „ლელოს“ წინა ნომერში მოკლედ ვწერდით იმ წარმატებაზე, რომელიც ჩვენმა ნორჩმა წყალმტობელებმა მოიპოვეს კიოლენში გამართულ დიდ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ხუთიდან — ოთხმა მედალი მოიპოვა, აქედან ერთი — ოქროსი, გორანთა გუნდმა კი ტურნირის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა.

თუ იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენი სპორტსმენები ფაქტობრივად თავისუფლად ასაკით უფროსებთან იბრძოდნენ წარმატებისთვის, ცხადი გახდება თუ რატომ გააოცეს კიდევ ერთხელ, ევროპის აღიარებული სპეციალისტები ჩვენმა გოგობიჭებმა. ასეთ წარმატებას ნამდვილად არავინ მოელოდა. ბავშვებმა აღმზრდელის, ირაკლი ბართაიას ხელმძღვანელობით უნაკლოდ წარმოადგინეს თავიანთი ოსტატობა. ოსტატობის წინაშე კი სპორტში ყველა ქედს იხრის.

ფაქტი განსჯისათვის. ზემოხსენებული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კიოლენში, იმ ქვეყანაში, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი თავისი სპორტული ტრადიციებით, უმაღლეს მწვერვალზე ყოფილი გდრ-ის სპორტსმენებმა რომ აიყვანეს. გაერთიანებულ გერმანიაში, ბოლო მონაცემებით, მარტო წყალსატობაში 600 ათასი მომეცადინება სხვადასხვა ასაკში, საქართველოში... 30 (!). ჰოდა, ამ ქვეყანაში ჩასული „პატარა ჯადოქრები“ საქართველოდან, როგორც მათ ბოლო ხანებში უწოდებენ, სასწაულს ახ-

იხ. მე-2 გვ.

**მსოფლიო ჩემპიონატის წინ
ფალანგებისთვის „შევე გაყოანათა“**

საქართველოს ფალანგებს წინ დიდი გამოცდა ელით. აშშ-ში 1 სექტემბერს განხორციელდება ტურნირების გამო, ნიუ-იორკში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ბულგარეთში გადაიტანეს და ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდება თავისუფალ და ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა ძასახაძე) ბოლო წლებში, რომ ენერგიულად მუშაობს, უველასთვის გახდა ცნობილი. ერთი დიდი ნაკლი ადრე ის იყო, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, დიდ საერთაშორისო ტურნირებზე, ჩვენი ნაკრები გუნდები ზოგჯერ შეკრების გაუვლელად მიემგზავრებო-



იხ. მე-2 გვ.

ცაბელი — წლის შედეგებით საუკეთესოა

გერმანელი ველომრბოლი ერიკ ცაბელი, 2387 ქულით, პირველია რეიტინგში მსოფლიო მრბოლთა შორის, მიმდინარე წლის შედეგებით. მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები შესაბამისად რეიტინგში კვლავ შეინარჩუნეს ჰოლანდელმა ერიკ დეკერმა — 2026, იტალიელმა დავიდო რებელინიმ — 1977, ამერიკელმა არისტონოვმა — 1713, მეექვსედან მეხუთე ადგილზე გადარჩა იტალიელმა ჯილბერტო სიმონიმ — 1704, ხოლო მეხუთედან მეექვსეზე — გერმანელმა იან ულრიხმა — 1690.

**გაზეთის
დაბეჭდვის
წინ:**

**2002 წლის მსოფლიო
ჩემპიონატის პლეი-ოფი,
საანსუო მატჩი**

ირანი — ირლანდია 1-0 (0-2)

ირლანდია მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდა გუშინ ირანში, რაც საქმარისი გახდა იმისთვის, რომ ორი მატჩის წამში ბრიტანელებს კორეა-იაპონიის საგზური მოეპოვებინათ. ირლანდია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 31-ე მონაწილე გახდა.

**პარალელა ფეხბურთით
ვერ გაემკარა**

ცნობილია არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ, ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი გამოჩენა მინდორზე გამოსათხოვარ მატჩში, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, სულაც არ იყო მისთვის ბოლო. მარადონამ გადაწყვიტა ითამაშოს კიდევ სულ მცირე ორი გამოსათხოვარი მატჩი. ერთი მათგანი გაიმართება ნეაპოლში, სადაც არგენტინელმა 8 წელიწადი გაატარა, მეორე — იაპონიაში. შემდგომში მარადონამ მწვერთხელობას აპირებს. 23 ნოემბერს მან უნდა მიიღოს მწვერთხელის დიპლომი არგენტინის მწვერთხელთა ასოციაციიდან. საინტერესოა, რომ დიპლომის მისაღებად არ გაუვლია შესაბამისი კურსები — ფეხბურთის ლეგენდისთვის განსაკუთრებული გამოწვევის დაუშვებს.

**სანაია შეიქმნა
„სოკოლმა“ ლიბერალს**

მეკარე ზურაბ სანაია, რომელიც სარატოვის „სოკოლმა“ რუსეთის ჩემპიონატის მეორე ნახევარში, არენდის უფლებით გადასცა ვორონეჟის „ფაკელს“, შეიძლება კვლავ დაბრუნდეს „სოკოლში“, რომელსაც ის ეკუთვნის. გამოცდილი მეკარე კლუბის ხელმძღვანელობამ შეიყვანა „სოკოლის“ იმ ფეხბურთელთა სიაში, რომლებსაც გუნდის პირველ შეკრებაზე გამოიძახებენ.

**საბერძნეთი თურქეთთან
ერთიანდება... 2008 წლის
ჩემპიონატის მასპინძლობისთვის**

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება თურქეთთან ერთად წარადგინოს განაცხადი ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის სოლიდარული მასპინძლობისთვის. საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვასილის მამაქისი ფედერაციის სამ წარმომადგენელთან ერთად, გუშინ გაემგზავრა თურქეთში, საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად. დრო არ ითმენს, განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა მიმდინარე თვეა.

**პოლანდიელი —
ევროპის ჩემპიონატი**

ესპანეთის ქალაქ ლეონში დასრულდა ევროპის გუნდური პირველობა ჰადრაკში ქალთა და ვაჟთა ნაკრებებს შორის. ჩემპიონის ტიტული ვაჟებში მოიპოვა ჰოლანდიის გუნდმა.

**2002 წლის
მსოფლიოს
ჩემპიონატი**



გერმანია — უკრაინა



ჩეხეთი — ბელგია




ბრაზილია — ვენესუელა

NBA

ნბა

პოლანტა — იუბა

8



მოკავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 ნელინალი და 9 თვე ღარი



ზაპირის XIX ოლიმპიურ თამაშებს 84 დღე გვაშორებს 8-24 თებერვალი 2002 წ.

გრძელვადიანი გარდაცვალების საქართველოს, საქართველო - ქართულ სპორტს!

ოლიმპიადა უსაფრთხოებისთვის დაეგეგმება 10 მილიონ დოლარს

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დამატებით 10 მილიონი დოლარი გადაგზავნა სოლტ-ლეიკ-სიტიში ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების სისტემის გასაძლიერებლად.

საბერძნეთის პრეზიდენტი-მინისტრმა კონსტანტინის სიმითისმა, გუშინ, მოუწოდებდა ყველას, ნუ ახდენენ 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის ათენის მზადების პრობლემების დრამატიზირებას.

ათენის მზადების პრობლემების დრამატიზირებას. „ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ეროვნული ღირსების საკმეა და არ შეიძლება მისი გამოყენება ვინაობა პოლიტიკური მიზნებისთვის“ - თქვა პრეზიდენტმა.




მათაშორის ამ დღეებში ჯიუჯიტუს ოსტატთა აღმოსავლეთ ევროპის პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა „ლოკომოტივის“ დარბაზში 100-მდე მონაწილე ობიექტის მფლობელთა პირველი ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

ბაბაბენოვმა გამარჯვებულებს და პრიზორებს: გოგონები. 37 კგ: 1. ნინო ბიჩინაშვილი (საქ. ნაკ.) 2. სოფიო მინაშვილი (თბ. ნაკ.) 43 კგ: 1. თამუნა ბიჩინაშვილი (საქ. ნაკ.) რუსეთის ჩემპიონი თანატოლებში (სამდე ბიჭებში გამოდიოდა), 13 წლისაა (მწ. თამაზ ჯანგირაშვილი), 2. ნაირა ვეშაგური (თბ. ნაკ.). ბიჭები. 22 კგ: 1. ავთანდილ მხარაშვილი (საქ. ნაკ.) 2. გივი მიქაძე (თბ.

ათვლა თბილისიდან იწყება

ნაკ.); 26 კგ: 1. მირზა მამედოვი (აზერბ.), 2. გიორგი მღებრიშვილი (თბ. ნაკ.), 3. გიორგი ბროლაშვილი (საქ. ნაკ.); 30 კგ: 1. დავით ფურცელაძე (საქ. ნაკ.), 2. ლაშა ელენტი (თბ. ნაკ.), 3. თემურ ბარათაშვილი (საქ. ნაკ.); 34 კგ: 1. ბექა ერადე (თბ. ნაკ.), 2. ტურალ ნასირლი (აზერბ.), 3. ოთარ ხუციშვილი (საქ. ნაკ.); 38 კგ: 1. ზაზა უფრიალი, 2. ნუგზარ ქალიაშვილი (ორივე - საქ. ნაკ.); 42 კგ: 1. ირაკლი მღებრიშვილი (საქ. ნაკ.), 2. ირაკლი მალაზიშვილი (საქ. ნაკ.); 3. ვუგარ აბდულაევი (აზერბ.); 46 კგ: 1. ლევან ელენტი (საქ. ნაკ.), 2. სახორ გასანოვი (აზერბ.), 3. გიორგი უფრიალი (თბ. ნაკ.); იუნორები. 50 კგ: 1. ასიფ გასანოვი (აზერბ.), 2. დავით ჯვარციშვილი (საქ. ნაკ.); 60 კგ: 1. დავით ნადირიანი (თბ. ნაკ.), 2. ლევან ბუკია (საქ. ნაკ.); 65 კგ: 1. გიგა სოსელია (საქ. ნაკ.), 2. სულდუს დავითი (აზერბ.); 75 კგ: 1. შალვა ფუნთუშაშვილი, 2. გიორგი სახოკია (ორივე - საქ. ნაკ.); აბსოლუტური. +75 კგ: 1. ელშან მამედოვი (აზერბ.), 2. გიორგი ნიკოლეიშვილი (საქ. ნაკ.); გოგონები. 62 კგ: 1. ავთანდილ ცინცაძე (საქ. ნაკ.), 2. საბუპი გარაევი (აზერბ.);



ასპარეზობის ჩემპიონები, პრიზორები, მწვრთნელები, მსაჯები, ორგანიზატორები

პატივსაცემი ნიჭიერი ბავშვების გულანგის სარჯები

(პირველი გვერდიდან) დენენ - მასპინძლებსაც კი ჯაბნიან გოგონათა გუნდურ პირველობაში და „ნესემის“ თასს ეუფლებიან. ჩვენს მწვრთნელებს ხშირად უთქვამთ, რომ უცხოელებს არ სჯერათ, საქართველოში, ფაქტობრივად, ზამთრის პირობებში წყალზე მეცადინეობებს მოკლებულ ბავშვებს თუ ასეთი შედეგების მიღწევა შეუძლიათ.

პაპის ზამთრის საზღვრით აუზი. მკვდარი ნაგებობა. მკვდარი უმცაური ბიზნესის წყარო.

განვითარებული ქვეყნები, იმართან, ვინც უკვე ეს გზა გაიარა, გამოცდილებას გადაიღებენ ხოლმე და უფრო დანაშაულებული ტემპით მიდიან დასახლებულ მიწათან. ჩვენი მოსახლეობა უკვე დარწმუნდა, რომ არც საქართველო ამბობს უარს სხვათა გამოცდილებაზე, ოღონდ... გადმოაქვს ყველაფერი ცოლად და თავდაცვით ისეთი დანაშაულებს ხოლმე, ჯერ რომ არავის სმენია მთელ დუნიაზე. აბა რომელი ქვეყნის რომელი მოქალაქე (პარტიოტობას განგებ არ ვახსენებთ) ადგება და თავისი სამშობლოს სახელის უცხოეთში განმდიდრებელ სპორტსმენებს დაოსტატებს კერას მოუშლის, წაართმევს და პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენებს, მეტიც, ამ კერას გაჭრობისა და ფულის მოგების ობიექტად გაიხდის.

სხვა რომ არაფერი, უკვე სასაცილოდ მაშინვე ეღერდა გაფრცხლებული ინფორმაცია, როცა ვაკის დასურული საცურაო აუზი თავისი სასტუმროთი 29 ათას დოლარად გაიყიდა. ახალი მეპატრონეები, აურემ შეღავათს იმითომ ითხოვდნენ, აუზის ამუშავება ძვირი დაგვიჯდება და თუ გინდათ, მაღე ავამოქმედოთ, ნაგებობა იფუნდ შეგვიფასეთო. ასეთი „პარტიოტული მოსახურებით“ გულანგულმა ქონების მართვის სამინისტრომ ეს სპორტული ბაზა სიმბოლურ ფასად გაყიდა, როგორც ვთხარით, 29 ათას დოლარად, არ დაგვიწყდეთ, თავისი სასტუმროთი. ახალმა მეპატრონეებმა სასტუმრო თავიანთ საცხოვრებელ ბინებად დაინაწილეს სართულებად. ფაქტობრივად, მთელი ამხელა ქონება ვაკეში, ამ უბანში ოთხთხობიანი ბინის ფასად გაიყიდა. ხედავთ, სადამდე მიდის ცინიზმი? ეს კიდევ არაფერი, როგორც ამბობენ, გამოჩნდა პიროვნება, რომელიც მხოლოდ საცურაო აუზის შესყიდვას ითხოვს არა იმავე ფასში, როგორც გაიყიდა, არამედ 200 ათასად, მაგრამ ამჯერად, სასტუმროს გარეშე. რას ამბობთ, განუცხადებთ მეპატრონეებს, 400 ათას დოლარს ცენტრიც არ დააკლდებაო. აი, ბიზნესის ქართული ვარიანტი ხალხის ქონებასა და მზარდი თაობის კეთილდღეობის „ჩაწიხვლის“ ხარჯზე. როგორ არ ვთქვათ: თქვე კაი ხოლხო, იმ 29 ათას დოლარში თქვენ საცხოვრებელ ბინებად გადააკეთებულ სასტუმროს არ ჯერდებით, არც 200 ათასი გაკმაყოფილებით და იმდენს ითხოვთ, რამდენიც ახლა შეიძლება სულაც არ ღირს აუზის ცარიელი ნაგებობა? ისე, რაც მართალია, მართალია, აფერუმ თქვენ, რომ ქონების მართვის სამინისტროში მომუშავე სპეციალისტებზე უკეთ შეგძლებათ ქონების შეფასება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქონების მართვის სამინისტრო სახელმწიფოს, ანუ ხალხის საკუთრებას ყიდდა, სახელმწიფო კი მათნარებს გულზე რომ არ ახატათ, ყველა კარგად ვხედავთ. ასეთია მწერალ სინამდვილე.

მკვდარი ნაგებობა. მკვდარი უმცაური ბიზნესის წყარო. განვითარებული ქვეყნები, იმართან, ვინც უკვე ეს გზა გაიარა, გამოცდილებას გადაიღებენ ხოლმე და უფრო დანაშაულებული ტემპით მიდიან დასახლებულ მიწათან. ჩვენი მოსახლეობა უკვე დარწმუნდა, რომ არც საქართველო ამბობს უარს სხვათა გამოცდილებაზე, ოღონდ... გადმოაქვს ყველაფერი ცოლად და თავდაცვით ისეთი დანაშაულებს ხოლმე, ჯერ რომ არავის სმენია მთელ დუნიაზე. აბა რომელი ქვეყნის რომელი მოქალაქე (პარტიოტობას განგებ არ ვახსენებთ) ადგება და თავისი სამშობლოს სახელის უცხოეთში განმდიდრებელ სპორტსმენებს დაოსტატებს კერას მოუშლის, წაართმევს და პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენებს, მეტიც, ამ კერას გაჭრობისა და ფულის მოგების ობიექტად გაიხდის.

306 უღებან მხარში ჩვენს „პატარა ჯადოქრებს“?

ზემოსხენებულ „პარტიოტობას“ განსხვავებით, საბედნიეროდ, არიან აღამიანები, რომლებსაც გული შესტკივთ ქართულ სპორტზე, ჩვენი მომავალი თაობის აღზრდაზე და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ მათი დაოსტატებისთვის. დღეს წყალმტომელებზე ვსაუბრობთ და მათ მფარველებს გააცნობთ, უპირველესად ესენი არიან მწვრთნელები მანა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბარათაიანი, სპორტის წყალთა სახეობათა ფედერაცია, სააკციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერე“, ფირმა „ჟაზბეგი“, რომელმაც ამჯერად ტურნირის მეორე პრიზიორი - სალომე ჯუღელი დააფინანსა, თვით მშობლები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდმის მასივში მდებარე საცურაო აუზის ბაზაზე შექმნილი ოლიმპიური მზადების ცენტრის თანადგომა. ჩვენი წყალმტომელების ამ ბოლო წარმატებაში ამ ცენტრის მიერ შეტანილი წვლილი ნამდვილად იმსახურებს იმომხილველი



მადლობას, რასაც გამოხატავს კიდევ სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია. ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უდესიანი ის პიროვნებაა, რომელმაც ვაკელებისაგან განსხვავებით, ყველაფერი გააკეთა აემუშავებინა საცურაო აუზი, სადაც წყალმტომელთა მომზადების შესაძლებლობაა ზამთრის პერიოდში.

ჩვენს წყალმტომელებს უცხოეთშიც პყავდათ და პყავთ კეთილი მხარამხერები: აშშ, გერმანია, რუსეთი... სად აღარ უცხოვრებთ უცხოელთა ოჯახებში ჩვენს წყალმტომელებს, რომ საქართველოსთვის წარმატება მოეტანათ, ქვეყნისთვის, რომელმაც ისინი საერთოდ მიიღიწა.

კიოლის ტურნირის ორგანიზატორები, სადაც ამჟამად ჩვენმა პატარებმა უსოფლენ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, მეუღლები გრეგორ და ედიტ ვიფერცები არიან. ეს ის ოჯახია, რომელიც დიდხანს თავისთან აცხოვრებდა ჩვენს წყალში მტომელებს ნანა ჟაზარაშვილს და ვირჯიშის პირობებს უქმნიდა. დავებთ, რომ ნანა ტურნირზე ახლა მსაჯად იყო მიწვეული და იქ კვლავ შეხვდა თავის დედობილ-მამობილს.

ჩვენს სპორტსმენებს კიოლში უკვე დაადგეს თვალე, გამოჩნდა კლუბი, რომელმაც კონტრაქტით შეიძლება გერმანიაში მათი შემდგომი დაოსტატება.

და კიდევ ერთი: ჩვენი ხუთი წყალმტომელების ასაკი ერთად აღებული 49 წელია, ასეთი რამ სპორტის ამ სახეობის ისტორიას არ ახსოვს.

იმომხილველი



მათაშორის ამ დღეებში ჯიუჯიტუს ოსტატთა აღმოსავლეთ ევროპის პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა „ლოკომოტივის“ დარბაზში 100-მდე მონაწილე ობიექტის მფლობელთა პირველი ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად.

სპორტული ჩემპიონების ნიშნულსა და მსაჯების სარჯები

გე - თბ) აკაკი ჩაჩუა (63, სამტრედია), ალექსანდრე დოსტოიშვილი (69, სართქალა), გიორგი ჭინჭელაშვილი (76, ქუთ), მუხრან ვახტანგაძე (85), გენადი ჩხაიძე (95, ორივე - ბათ.), გიორგი წურჭუშია (მძიმე წონა, თბ), გუნდს გერმანიიდან ათენში შეუერთდებთ თერჯოლელი მძიმეწონისანი მირიან გიორგაძე. გუნდს ახლავს უფროსი მწვრთნელი ბეგი დარჩია, მწვრთნელები - ჭონი რევიაშვილი და ოთარ ციტიშვილი, ექიმები - გოგი ჭუმბურიძე, ბულგარეთში შეტანილი დარსი ჩავლენ დელეგაციის ხელმძღვანელი, რომლის ვინაობა ჭერუცნობია და მსაჯი - ედიშერ მაჩაიძე. ბულგარეთშივე, 22-25 ნოემბერს ჩატარდება თავისუფალი სტილის მოვლავთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფედერაციამ მოგვარა ნაკრების დასუსტებული შემადგენლობა: გოჩა კირკიტაძე (54, ქუთ), დავით პოდოსიანი (58), ოთარ თუშიშვილი (63, ორივე - გორი), ემზარ ბედინიშვილი (69, თბ), რევაზ მინდორაშვილი (76, გურჯაანი), მალხაზ ჭორბენაძე (85, თბ), ელდარ კურტანიძე (97, სოსუმი) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე წონა, თბ). უფროსი მწვრთნელია ზაზა თურმანიძე, მწვრთნელები - გიორგი გალდავა, კობა ლორიშვილი და დავით ხურცია, ექიმები - ზურაბ კახანიშვილი, მსაჯი ედიშერ მაჩაიძე, ხელმძღვანელი - ომზარ შოშიტაშვილი.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ...

Table with football statistics for various teams and leagues.

საქართველოს XIII აკოვნული ჩემპიონატი უზენაესი დივიზიონი

დღეს მეთექვსმეტე ტური იწყება

მეთექვსმეტე ტური პარასკევს დაიწყება. სარაგბო პაექრობის გამო, ორი დღით ადრე გადმოტანილ მატჩში, რკინიგზელები გურულებს უმასპინძლებენ.

Table with match results for the 16th and 17th rounds of the football tournament.

Table with player statistics for various teams.

სფუ სააკალითო უელკასია პერკასია

ნიშვნა მისაღები არ არის, პირიქით. ამ ფაქტის მოხმობით მხოლოდ იმას გავუსვავთ ხაზი, რომ სფუ-ს მუშაობაში გამოცდილება აუდიტებმა არსებითი ნაკლი ვერ დააფიქსირეს.



პრესკონფერენცია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-13 აღმასკომის დასრულებისთანავე კურნალისტთა შეკითხვების ჩერც დადგა.

იუბილარის შესაფერისი ფინალი

საზეიმო ვითარებაში დასრულდა ცნობილი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის 75-ე იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში.

1988 წელს დაბადებულ ყმაწვილთა ფინალში ერთმანეთის პირისპირ 35-ე საფეხბურთო სკოლისა (მწვრთნელი გორა ავსჯანიშვილი) და თბილისის „დინამოს“ (მწვრთნელი თამაზ კოსტავა) გუნდები წარსდგნენ.

1986 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ფინალში, თბილისის „დინამოს“ (მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი) მეტოქე „მერანის“ (მწვრთნელი დავით ევგენიშვილი) იყო.

Table with statistics for the youth football tournament.

პირველი ლიგა • ანონსი

Table with statistics for the First League football tournament.

რეპორაჟი

ალბონსკლათის ზონა XIV ტური

- ცხუმი — კრწანისი 7-2
- ჯავახი — მრეტიბი 3-3
- აკადემია — მაუდი 3-2
- ალაზანი — ლიახვი 3-1
- გორდა 2 — მცხეთა 0-0
- ოლიმპიკი — ივრია 5-2

მცხეთა	14	11	2	1	33-7	35
ალაზანი	14	10	2	2	38-15	32
ივრია	14	9	2	3	37-21	29
მაუდი	14	9	2	3	21-10	29
ოლიმპიკი	14	8	3	3	32-15	27
ზოოვეტი	13	8	1	4	24-15	25
ცხუმი	14	7	3	4	32-14	24
ვიტორია	13	6	4	3	35-10	22
აკადემია	13	6	4	3	24-17	22
ჯავახი	13	6	3	4	13-13	21
ჭაბუკიანი	13	5	6	2	17-9	21
ლიახვი	13	5	1	7	19-26	16
მესხეთი	14	5	1	8	16-24	16
გორდა 2	14	4	4	6	21-19	16
თბილისი	13	3	2	8	19-35	11
კრწანისი	14	3	2	9	15-35	11
მერანი 3	13	3	1	9	12-34	10
დინ.3 (თბ)	13	2	4	7	15-22	10
მრეტიბი	14	0	4	10	17-37	4
ჯავახი	15	0	1	14	12-74	1

დასავლეთის ზონა XVI ტური

- საბურთალო — ჩიხურა 5-0
- სკუტი — ლუკა 2-2
- კოლხეთი 2 — მალაროელი 0-1
- ინტერი — გზები 1-0
- დინამო 2 — ეგრისი 1-0
- მეტეხი — ოკრიბა 3-1
- დინამო (სოხ) — დინამო (ზ) 4-5

მეტეხი	15	13	2	0	39-10	41
სულორი	15	12	0	3	41-18	36
საბურთალო	16	11	2	2	52-16	36
დინამო(ზ)	15	11	2	2	31-13	35
გორდა 2	15	10	2	3	42-13	32
კოლხეთი 2	16	8	5	3	27-13	29
მალაროელი	16	9	1	6	33-24	28
სალხინო	15	9	0	6	23-22	27
ინტერი	15	8	1	6	20-15	25
მეტეხი 2	15	6	3	6	21-22	21
საირმა	15	6	2	7	15-15	20
სკუტი	15	6	2	7	22-29	20
ეგრისი	15	6	1	8	21-24	19
გზები	16	5	1	10	16-26	16
დინ.2 (ბთ)	16	4	2	10	11-27	14
დინ. (სოხ)	16	3	3	10	19-35	12
სამგერელი	15	3	2	10	20-36	11
ჩიხურა	16	3	1	12	13-43	10
ლუკა	16	3	1	12	16-49	10
ოკრიბა	15	1	0	14	7-38	3



ეფენბერგი ბრუნდება

მიუნხენის „ბავარიის“ კაპიტანი შტეფან ეფენბერგი სამთვიანი შესვენების შემდეგ, მინდორზე, ამ შაბათს გამოვა ბრუნდის „ვერდერის“ წინააღმდეგ მატჩში. გუნდის ამის შესახებ თავად ეფენბერგი განაცხადა ტელევიზიით. ევროპის საუკეთესო კლუბის გამოთამაშების სათავეში დაბრუნდება იგეგმებოდა ერთი თვის წინათ, მაგრამ ფეხის ტრავმა, რომელიც მან ვარჯიშზე მიიღო, გაუმიზეზდა.

იყო შაჰნი გვალგული

18 ნოემბერს დავით ყიფიანს 50 წელი შეუსრულდება, მაგრამ ტრადიციულად შემთხვევად ყველა-სთვის დრომდე სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე შეიწირა.

ამბობენ, რომ დიდი ფეხბურთელები ორჯერ გარდაიცვლებიან — პირველად, როდესაც ფეხბურთის თამაშს ამთავრებენ, მეორედ, როდესაც მათი გულუბნის ძველი წყდება. მაგრამ მათ სახელებს არასოდეს ივიწყებენ და მარადისობაში გადადიან.

დავით ყიფიანი ჯერ თავდასხმეულის ამბულაში, ხოლო შემდეგ ძირითადად ნახევარმცველის ამბულაში თამაშობდა. 17 წლისა იყო, როდესაც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ჩაირიცხა და იქ 1968-1969 წ.წ. თამაშობდა, ხოლო 1970 წელს თბილისის „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა.

ცნობილი მწვრთნელის გავრილ კანალინის ერთ-ერთი თვალსაჩინო დამსახურებელი იყო უნდა ჩაითვალოს, რომ 1971 წელს დავით ყიფიანი თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა და იმავე წელს საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების 23 მატჩში „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ათამაშა.

დავით ყიფიანმა მოწინააღმდეგეთა კარში 2 ბულით გაიტანა. მომდევნო, 1972 წელს მან 28 მატჩი თამაშა და 7-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ ორივე-ჯერ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

დავით ყიფიანს თავიდანვე დიდი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი ფრიალსა და საკირო მონაცემები აღმოაჩნდა, რომელთაგან ყველაზე მთავარი იყო გუნდის თამაშის ორგანიზება, წარმართვა-დირიჟირობა, გოლის გატანის უნარი და სხვებისთვის საამისო სიტუაციების შექმნა. ყოველივე ამას აკეთებდა ძალზე ოსტატურად, სწრაფად და მოულოდნელად. ის იყო მეტოქის არა მარტო ლიდერი, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1976 წელს, საკავშირო თასის გათამაშებაში, როცა თბილისის დინამოელები ფინალში გავიდნენ. იმავე წლის სამ სექტემბერს, მოსკოვის ლუქინიელების ცენტრალურ სტადიონზე, ერევნის „არარატთან“ ფინალური მატჩის 27-ე წუთზე სწორედ დავით ყიფიანმა გაიტანა პირველი გოლი სომეხთა კარში, რის შემდეგაც ქართველ ფეხბურთელებს მოეხსნათ დამაბულაობა და მათ თავისუფლად შეძლეს თამაშის ლოგიკურ დასრულებამდე მიყვანა. თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა რა ანგარიშით 3-0 (მეორე ბურთი ფირუზ კანთელაძემ, ხოლო მესამე — რევაზ ჩელეძემ გაიტანეს). დავით ყიფიანმა და მისმა თანაგუნდელებმა გააკეთეს ის, რაც ვერ შეძლეს ორმოცი წლის მანძილზე მათმა წინამორბედებმა. თასისათვის ბრძოლის ისტორიაში, მათ პირველად მოიპოვეს ასე სანატრელი და სანუგავარი ბროლის ჯილდო.

დავით ყიფიანი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1978 წ.), საბჭოთა კავშირის თასის ორჯონ გამარჯვებული (1976 და 1979 წ.წ.). ვერცხლის და ბრინჯაოს ოთხი მედლისა და ბოლოს, ევროპის ჭეჭნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981 წ.).

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გახდა ევროპის ჩემპიონი. დავით ყიფიანი 1977 წელს დასახელდა საბჭოთა კავშირის №1 ფეხბურთელად. მისი გვარის არაერთგზის ფიგურირებდა „33“ საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში. იყო საბჭოთა ნაკრების წევრი. ითამაშა ევროპის ნაკრების შემადგენლობაში ჩეხოსლოვაკიელთა წინააღმდეგ... სახელი და დიდება მოუტანა და-

ვით ყიფიანს 1981 წელს, როდესაც თბილისის „დინამო“ ბრწყინვალედ გამოვიდა ევროპის ჭეჭნების თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლის ყველა ეტაპზე და მოიპოვა ევროპის თასი.

აი, რას წერდა 1981 წლის 5 მარტს ლონდონის გაზეთი „ტიმსი“: „ვესტ ჰემი“ თითქოსდა გააოცა უმარწყინვალესი ვარსკვლავებთან შეხვედრამ, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, უღვაშებიანი და თმა-შეთხლებული ვაჟკაცი, რომელიც ქვეშაირად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ დავით ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „ეპტონ პარკში“ ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის ღირებულონი თავის სამფლობელოში, თავის თეთრ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილ პარტიზორებთან ერთად...“

ფინალური თამაშის დამთავრების შემდეგ გერმანულ გაზეთში „დოიჩეს შპორტ ეკო“ რაინერ ნახტიგალი აღნიშნავდა: „...კრავუნება და ყიფიანის დღეში „საყიბო ანგარიში“ იყო, მაგრამ 30 წლის დიპლომათა იურისტმა, თანდათან თავი დააღწია უშუალო მეტოქის მარწყუბებს და ისეთი არტისტული ფეხბურთით ითამაშა, საერთოდ, მას რომ ახსიათებეს...“

ევროპის ჭეჭნების თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ, მოსკოვის გაზეთი „პრავდა“ ერთობ ლაკონურად მიანიშნებდა: „...მინდორზე განსაკუთრებული როლი შეასრულა დ. ყიფიანმა, რომელსაც ხელთ ეპყრა შეტყვის სადავეები“.

1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, საბჭოთა ნაკრებს ავარჯიშებდა მწვრთნელთა ტრიუმფირატი: ლობანოვსკი — ბესკოვი — ახალკაცი. თბილისის „დინამოდან“ ნაკრებში მიწვეულნი იყვნენ და მომავალი ბატალიებისთვის ემზადებოდნენ ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და არამზ შენაკლია. სამწუხაროდ, მათ შორის არ იყო დავით ყიფიანი, რომელსაც სეზონის დასაწყისში სერიოზული ტრავმა მიიღო.

ფეხი მოტეხეს. შემდგომში ის გამოჯანმრთელდა, დაუბრუნდა თბილისის „დინამოს“ და კვლავ უწინდებურად მაღალი დონით დაიწყო თამაში. მიუხედავად ამისა, მწვრთნელთა ტრიუმფირატმა ყიფიანი ნაკრებში არ მიიწვია. ნაკრებში იყვნენ ნახევარმცველები — ლეონიდ ბურიაკი, იური გავრილოვი და ხორენ ოგანესიანი. არადა, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დავით ყიფიანის ბენეფისი უნდა შემდგარიყო.

საერთოდ, ფეხბურთში შეცდომებს არავის პატიობენ და დავით ყიფიანის გარეშე ნაკრების ნახევარდაცვა ძალზე სუსტად გამოიყურებოდა. საბჭოთა ნაკრებმა ესპანეთში ვერ აჩვენა ის ნამდვილი თამაში, რასაც ელოდნენ ფეხბურთის სპეციალისტები. უმაღლესი დონის ფეხბურთის თამაშობენ მხოლოდ ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორიც დავით ყიფიანი იყო... ობიექტური და სამართლიანი ვიწებით თუ ვიტყვით, რომ დავით ყიფიანმა თავისი საუკეთესო თამაშები თბილისის „დინამოში“ ჩაატარა, რომ საფეხბურთო მინდორზე მას თავის უშუალო და უახლოეს პარტიზორებთან ერთად, თითქმის ყველაფრის გაკეთება შეეძლო.

გასული საუკუნის 70-იან წლებში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, დავით ყიფიანმა და მისმა თანაგუნდელებმა მთელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მოხვედნის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა სიყვარული და პატივისცემა გულშემატკივრები და პატივისცემა. გულშემატკივრები დალიოდნენ დავით ყიფიანის „საფეხბურთო სპექტაკლებზე“ და მისი ცქერით ექსტაზში შედიოდნენ. დათოს თამაშით აღფრთოვანებული იყვნენ ევროპის საფეხბურთო ჭეჭნებში, სადაც თავიანთი ვარსკვლავები ბლომად ჰყავდათ და მათგან განებივრებულები იყვნენ.

ინგლისელები დავით ყიფიანს „ფეხბურთის გენერალს“ უწოდებდნენ, მაღრიდის „რეალი“ კი მას სთავაზობდა მილიონობით დოლარის კონტრაქტს. ერთ-ერთ საუბარში დავით ყიფიანი იხსენებდა: „ესპანელებმა წინ ამოიდეს ქალაქის ფურცელი და მითხრეს: „თანხა შენ თვითონ დაწერე“. მაგრამ იმ დროს განა შეგვეძლო მიგვეცა თავისთვის უფლება და გვეფიქრა საზღვარგარეთ წასვლაზე? პირადად მე, ყოველნაირ შემთხვევაში არ შემეძლო და იცით რატომ? იმიტომ, რომ მე იმ დროს წარმოდგენილი მქონდა თუ რა შემთხვევაზე ჩემს ნათესავეებს, ჩემს ახლობლებს...“ აი, ასეთი იყო ეს ლმვინდარული ფეხბურთელი, დავით ყიფიანი, თავისი სამშობლოს და ხალხის გულშემატკივრე პატივით. სწორედ ამიტომ ამბობენ ხშირად, რომ „ისეთი ფეხბურთელი, როგორც დავით ყიფიანი იყო, ალბათ, დიდი ხნის მანძილზე არ გვეყოლება“. მართლაც, ეს იყო თავისებური, გამორჩეული, განუმეორებელი და, რაც მთავარია, ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებული ფეხბურთელი.

მისი თავაკაცობით „დინამო“ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი. დავით ყიფიანი იყო ის მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობით ქუთაისის „ტორპედომ“ პირველად დაარღვია იბილისის „დინამოს“ ხანგრძლივი ჰეგემონია და მას

ლირსეულად ჩამოართვა ჩემპიონის ტიტული. რამდენიმეჯერ სათავეში ედგა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, სხვადასხვა დროს წვრთნიდა კვიპროსის (ნიქოზის „ოლიმპიკოსი“), ბელგიის („მუქელნი“) და რუსეთის (იაროსლავლის „მინიკი“) გუნდებს. უცხო ქვეყნებში ყოფნისას ის ყოველთვის განიცდიდა სამშობლოსადმი ნოსტალგიას,



ეფენბერგი წამოსვლის საბაბს და საქართველოში ბრუნდებოდა.

მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ალტაცებით იგონებენ დავით ყიფიანის მატჩებს ინგლისის „ლივერპულს“ და „ვესტ ჰემს“, პოლანდის „ფეინორდის“, გერმანიის „კარლ ცუისის“, ბელგიის „სტანდარდის“, პორტუგალიის „ბენფიკას“ და ა.შ. გუნდების წინააღმდეგ.

საქართველო და ქართველი ხალხი ბედნიერი იყო, რომ ჰყავდა დავით ყიფიანი, ფეხბურთის სუპერვარსკვლავი, რომლის მსგავსი საუკუნეში იშვიათად თუ გამოჩნდება საფეხბურთო პარიზონტზე. მან კრძმა, ნათელი და განუყოფელი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ, არამედ, მსოფლიო ფეხბურთში.

არაერთი მაგალითი გვახსოვს, როდესაც ჩვენს ფეხბურთში იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ისე მოდიოდნენ და მიდიოდნენ, რომ მათ ფეხბურთის განვითარებისა და წარმატების საქმეში უზნიშვნელო წვლილი თუ მიუძღოდნენ. მათგან განსხვავებით, დავით ყიფიანი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ კოპორტისა, რომლის წევრებმა ღირსეული ადგილი დაიკვიდრეს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში და სიცოცხლეშივე დაიდგეს ძეგლი.

დავით ყიფიანის მონაწილეობით ყოველთვის იდგებოდა საფეხბურთო სპექტაკლები, სადაც გამოირჩეოდა ბურთის მომთვინებლობით და ენთუზიასით, რომელიც ზიანს არ აყენებდა კოლექტიურ თამაშს, პირიქით, საინტერესო სანახაობით ელფერს აძლევდა, სასეე იყო პრაქტიკული და მხოლოდ გამარჯვებისაკენ იყო მიმართული. ყოველივე ამის მხილველი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი აღფრთოვანებული იყო და ექსტაზში შედიოდა.

დავით ყიფიანი თამაშის დროს ყველაფერს აკეთებდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა და ჩათვლიდა, რაც მხოლოდ საკუთარი იმპროვიზაციიდან გამომდინარეობდა. მას თავისი ვირტუოზული თამაშით, განსაკუთრებით კი ლამაზი, ეფექტური და მიზანდასახული ბურთის მიწოდება-ჩაწოდებებით, დირიჟირობით დასახული მიზნის ლოგიკურ დასასრულამდე, ე.ი. საბოლოო გამარჯვებამდე მიჰყავდა გუნდი. დავით ყიფიანი უცილობლად და თამაშად შეიძლება დავაყენოთ ქართველი ლეგენდარული ფეხბურთელების — ბორის პაიჭაძის, ათანადილ ლოლობერიძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის და სხვათა გვერდით.

მისი სახელი ყოველთვის იცოცხლებს კომპეტენტური, მცოდნე და ინტელექტუალური გულშემატკივრების სიყვანში, როგორც უნიკალური ნიჭით მომადლებული და გამორჩეული ფეხბურთელი. დავით ყიფიანი წავიდა და... დარჩა უკვდავად.

შურამ ჩხიკვაძე

შუკარი «მიუნხენ-1860»-ში

ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირმა, ხორვატიელთა ნაკრების თავდამსხმელმა დავორ შუკერმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „მიუნხენ-1860“-თან, სადაც ის ითამაშებს მიმდინარე სეზონის ბოლომდე. 33 წლის ფორვარდმა მოასწრო ეთამაშა „სევილიაში“, „რეალში“, „არსენალში“, „ვესტ-ჰემში“. შურამ, ამ უკანასკნელი გუნდიდან, კონტრაქტის დამთავრების გამო ნასვლის შემდეგ, ხორვატი უკლებუოდ დარჩა. ამასთან, ქვედნიმე კლუბმა გამოავლინა მისადმი ინტერესი. მიუნხენელებმა დაასწრეს „ჰამბურგს“ და „ნიურნბერგს“.



შუკერი



2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი


კლდე-ოფი (ბანგორეპატი მატჩები)

ბერმანია - შპრინა 4-1
გერმანია: კანი, რემერი (ბაუმანი 87), ნოვოტნი, ლინკე, ჰამანი, რამელი, შნაიდერი, ბალაკი, ციგე, იანკერი (ბირჰოფი 58), ნოვილი (რიკენი 70)

უკრაინა: ლევიცი, ლუენი, ნესმაჩნი (შიშენკო 55), გოლოვკო, ვაშუკი, პარფონოვი, სკრიპნიკი, ზუბოვი, ტომოშუკი (მესინი 24), ვორობეი (კუბოვი 70), შვეჩენკო.

გოლები: 1-0 ბალაკი (4), 2-0 ნოვილი (8), 3-0 რემერი (15), 4-0 ბალაკი (51), 4-1 შვეჩენკო (90).

ანგარიში შეხვედრის დასაწყისში გახსნა ბალაკმა თავური დარტყმით, ცოტა ხნის შემდეგ ნოვილი ამატებს ლევიციის მიერ მოგერიებულ ბურთს, შეხვედრის მე-15 წუთზე რემერი ასევე თავით ანგარიშს ხდის 3-0, მეორე ნახევრის დასაწყისში ბალაკი ისევ თავით 4-0-მდე ზრდის ანგარიშს, უკრაინელებმა შეხვედრის ბოლოს შეძლეს პრესტიჟის გოლის გატანა, ეს გოლი შეჭენკოს ანგარიშზე, საბოლოოდ 4-1 გერმანელთა დამსახურებული გამარჯვებაა.



ბერმანია - შპრინა



თურქეთი - ავსტრია

რუმინეთი - სლოვენია 1-1
0-1 რულდონია (56), 1-1 კონტრა (66) სლოვენია პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიონში.

ჩეხეთი - პელონია 0-1
ვილმოტსი (86 პენ).

თურქეთი - ავსტრია 5-0
ბასთურკი (24), ჰაქან შუქური (31), ოქანი (45), არიფი (70,84)
ამრიგად, ევროპის ზონიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: რუსეთმა, პორტუგალიამ, დანიამ, შვედეთმა, პოლონეთმა, ესპანეთმა, ხორვატიამ, იტალიამ, ინგლისმა, გერმანიამ, ბელგიამ, სლოვენამ, თურქეთმა.

ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)

1/8 ფინალი. ბანგორეპატი შეხვედრები

ჩეხეთი - ხორვატია 0-0 (პირველი მატჩი 1-1)

თურქეთი - საბერძნეთი 2-1 (პირველი მატჩი 0-3)

ბელგია - შვედეთი 2-0 (პირველი მატჩი 2-3)

ინგლისი - პოლონდია 1-0 (პირველი მატჩი 2-2)

პორტუგალია - ესპანეთი 1-0 (პირველი მატჩი 1-2)

საფრანგეთი - რუმინეთი 4-0 (პირველი მატჩი 1-0)

შვეიცარია - უკრაინა 2-1 (პირველი მატჩი 2-1)

იტალია - პოლონეთი 0-0 (პირველი მატჩი 5-2)

ამრიგად, ფინალურ ეტაპზე გახვედრები: ჩეხეთი, საბერძნეთი, ბელგია, ინგლისი, პორტუგალია, საფრანგეთი, იტალია და შვეიცარია.



შვეიცარია - უკრაინა

„ოქროს ბურთის“ პრეტენდენტები

51 ქვეყნის ეურნალისტები, 28 დეკემბერს დაასახელებენ „ოქროს ბურთის“ 2001 წლის ლაურეატს. მანამდე კი დაასახელეს იმ 50 კანდიდატის ვინაობა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ამ პრიზის მოსაპოვებლად. „ოქროს ბურთის“ პირველი ლაურეატი 1956 წელს გახდა სერ სტენლი მეთიუზი. შარშან ეს პრიზი მოიპოვა პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმს. ახლა გააცნობთ იმ 50 კანდიდატის ვინაობას ქვეყნების მიხედვით: **საფრანგეთი:** 11 წარმომადგენელი (ტრეზეგე - „იუვესტუსი“); **ტიურქეთი:** 1 „იუვენტუსი“; **კანდელა:** 1 „რომა“; **ბარტეზი:** 1 „მანჩესტერი“; **არი:** 1 „არსენალი“; **პირესი:** 1 „არსენალი“; **ვიერი:** 1 „არსენალი“; **დესაი:** 1 „ჩელსი“; **ზილანი:** 1 „რეალი“; **ლაზარ-ზიუ:** 1 „ბაიერნი“; **კარერი:** 1 „ლიონი“; **იტალია:** 6 წარმომადგენელი (ტოტი - „რომა“, ტომპაზი - „რომა“, ბაჯო - ბრეშა, ბუფონი - „იუვენტუსი“, ნესტა - „ლაციო“); **ინგლისი:** 5 წარმომადგენელი (ბექჰემი - „მანჩესტერი“, სკოულზი - „მანჩესტერი“, ფერდინანდი - „ლიდსი“, ჯერარდი - „ლივერპული“, ოუენი - „ლივერპული“); **ბრაზილია:** 5 წარმომადგენელი (კაფუ - „რომა“, რობერტო კარლოსი - „რეალი“, რივალდო - „ბარსელონა“, ელბერი - ბაიერნი, ანდერსონი - „ლიონი“); **პორტუგალია:** 3 წარმომადგენელი (ფიგუ - „რეალი“, რუი კოშტა - „მილანი“, პაულეტა - „ბორდო“); **ესპანეთი:** 3 წარმომადგენელი (მენდიეტა - „ლაციო“, რაული - „რეალი“, ელგერა - „რეალი“); **არგენტინა:** 3 წარმომადგენელი (ბატისტუტა - „რომა“, კრესპო - „ლაციო“, ვერონი - „მანჩესტერი“); **გერმანია:** 2 წარმომადგენელი (კანი - „ბაიერნი“, ეფენბერგი - ბაიერნი“); **პოლონდია:**

2 წარმომადგენელი (კლიუვერტი - „ბარსელონა“, პასელბაიკი - „ჩელსი“); **ავსტრალია:** 1 წარმომადგენელი (კიუელი - „ლიდსი“); **უკრაინა:** 1 (შვეჩენკო - „მილანი“); **ჩეხეთი:** 1 (ნედვეცი - „იუვენტუსი“); **იაპონია:** 1 (ნაკატა - „პარმა“); **უელსი:** 1 (გიგზი - „მანჩესტერი“); **ფინეთი:** 1 (პიუპია - „ლივერპული“); **განა:** 1 (კუფური - „ბაიერნი“); **დანია:** 1 (სანი - „შალკე 04“); **შვედეთი:** 1 (ლარსონი - „სელტიკი“); **პოლონეთი:** 1 (ოლისადე - „პანათინაიკოსი“).



შიგუ

სამხრეთ ამერიკა



ჩილე - ეკვატორი



პარაგვაი - ბოლივია



ურუგვაი - არგენტინა

ბრაზილია	ვენესუელა	3-0
ჩილე	ეკვატორი	0-0
პარაგვაი	კოლუმბია	0-4
პერუ	ბოლივია	1-1
ურუგვაი	არგენტინა	1-1
თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.		
არგენტინა	18 13 4 1	42-15 43
ეკვატორი	18 9 4 5	23-20 31
პარაგვაი	18 9 3 6	29-13 30
ბრაზილია	18 9 3 6	31-17 30
ურუგვაი	18 7 6 5	19-13 27
კოლუმბია	18 7 6 5	20-15 27
ბოლივია	18 4 6 8	21-33 18
ვენესუელა	18 5 1 12	18-44 16
პერუ	18 4 4 10	14-25 16
ჩილე	18 3 3 12	15-27 12

ამრიგად, კორეა-იაპონიის საგზური მოიპოვეს: არგენტინამ, ეკვატორმა, პარაგვაიმ და ბრაზილიამ, ხოლო ურუგვაის ნაკრები პლეი-ოფში შეხვედრა ავსტრალიის ნაკრებს და გამარჯვებული მოიპოვეს. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს.

ნიგაგულინი - ჩუკოტის საუკეთესო ფეხბურთელი

სეზონის დასასრულს რუსეთში პოპულარულმა ყოველკვირეულმა „ფუტბოლ-რევიუმ“ ჩაატარა გამოკითხვა - რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. სეზონის გმირებს უმაღლესი ლიგის მთავარი მწვრთნელები ასახელებდნენ. მანამდე რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ: 1991 წელი - ვასილი კულკოვი, 1992 წელი - ვიქტორ ონოკო, 1993 წელი - ვიქტორ ონოკო, 1994 წელი - გამოკითხვა არ ჩატარებულა; 1995 წელი - ვიქტორ ონოკო, 1996 წელი - ანდრეი ტიხონოვი; 1997 წელი - დიმიტრი ალენიჩევი, 1998 წელი - ეგორ ტიტოვი; 1999 წელი - ალექსეი სმერტინი, 2000 წელი - ეგორ ციტოვი.

გამოკითხვის შედეგად, რუსეთის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელია დასახელდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ კარის დარაჯი რუსლან ნიგმატულინი, რომელმაც დააგროვა 35 ქულა (9 პირველი ადგილი, 4 მეორე და 2 მესამე). მეორე ადგილზე გავიდა ასევე „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი მარატ იზმაილოვი 22 ქულა (1 პირველი, 9 მეორე და 1 მესამე). მესამე ადგილზე გავიდა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი ეგორ ტიტოვი 21 ქულით (4 პირველი, 1 მეორე და 1 მესამე).



ნიგმატულინი

ასევე დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო დებიუტანტისთვის, რომელიც გადაეცა მარატ იზმაილოვს, რომელმაც ქულების რეკორდული რაოდენობა დააგროვა - 47. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ ფეხბურთელები ალექსანდრე კერეკოვი და ანდრეი არშავინი.

ნოდარ ჯორჯიანი

(მასამ ბეგრძინაძე)

ტის კლუბს, ისე როგორც ქალაქის სხვა სპორტულ საზოგადოებებს, ცხრა (!) გუნდი ჰყავდა, თავისთავად ეს ფაქტი დამაინტერესებელია დღევანდელი გულშემატკივრისთვის, რომელმაც კარგად უწყის, რა ცუდ დღეშია ჩვენს რესპუბლიკაში სტუდენტური კალათბურთი. ეს სახეობა კი ტრადიციულად მუდამ საზრდოობდა სტუდენტური კალათბურთის წილში დაბადებული და გამოზრდილი კადრებით. ასეა ყველგან, სადაც უყვართ კალათბურთი, მაგრამ ჩვენ ვერა და ვერ მოვაბით თავი ამ საკომპანო პრობლემას. სხვათა შორის, ამავე აზრისაა თვითონ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვეროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზორი, საბჭოთა კავშირის მრავალჯერ ჩემპიონი, საერთაშორისო და საკავშირო საკალათბურთო სამყაროს ყველა დროს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ნოდარ ჯორჯიანიც. მაგალითისთვის, როგორც იტყვიან, შორს წასვლა არ დაგვიკარგდება: კალათბურთის ეს ბრწყინვალე წარმომადგენელიც ხომ სტუდენტური გუნდიდან მოვიდა. კარგი იქნება, თუ ჩვენი საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვან მოთხოვნებს სტუდენტური კალათბურთის აღორძინების შესახებ ყურადღებებს, სადაც ჯერ არს, და ბოლოს და ბოლოს გამოასწორებენ წარსულში ამ სფეროში დაშვებულ მიუტევებელ შეცდომებს.

... ოცდაათიანი წლები თითოეული ჩვენგანის წარმოსახვაში ქვეყნის, ხალხის არნახული ერთობის წლებია. ეს სულისკვეთება სუფევდა სპორტშიც, კერძოდ, კალათბურთშიც. რომელიმე გუნდში მოხვედრა დიდ პატივად ითვლებოდა, ხოლო საბასუხისმგებლო შეგებებაში კოლექტივის, მით უმეტეს, რესპუბლიკის ღირსების დაცვა — პატრიოტულ მოვალეობად. მაშინ არაფერ დაგვიკარგებდა ბრწყინვალე პარტნიორებს. ელვანბნულ სპორტულ სამსახურში არც გამოჩენის თვლით უყურებდა ვინმე შეგირებაში გამოსვლას. სპორტი იყო ვაჟკაცობის, სიამაღობის, თვითდამკვიდრების საოცნებო სარბიფი. ასეთი განწყობილება დახვდა გუნდში პირველად მისულ ნოდარ ჯორჯიანსაც. და თუმცა, როგორც მოგახსენებთ, იმ დროს არავის სჭირდებოდა შესვენება, რომ ევარეშობა, ოფლი დევიარათი, სული და გული ჩაეკრავათ თამაშში, ნოდარი ამ ხალხის ფონზეც კი გამოირჩეოდა ფანტაზიამდე მისული შრომისმოყვარეობით. მოგვიანებით, ბევრს ანცვიფრებდა მისი საოცარი ტექნიკა, ტაქტიკა, ფუნდამენტური კომბინაციური აზროვნება, საუცხოო ფიზიკური მომზადება და ყველაფერ ამას განსაკუთრებულ ნიჭს მიაწერდნენ. ნიჭი? დიახ, მას მართლაც ჰქონდა ელვანბნის ნიჭი და უნარი, მაგრამ მისი სპორტული მიღწევების საფუძველთა საფუძველი მაინც შრომა იყო, პერკულუსის მასშტაბის შრომა, ურომლისოდნე ნოდარ ჯორჯიანის სპორტულ კარიერას ვერ მივიჩნევდით სამაგალითოდ მომდევნო თაობებისათვის.

ახლა შეიძლება ზოგს დაუჩვენებლად ეჩვენებოდეს ის, რომ ჯორჯიანი ქანცამოცილები ვარჯიშის შემდეგ ხშირად უნივერსიტეტის დარბაზში დარჩენილია და დაღლილ-დაქანცულს იქვე გაუთევია ღამე. შესაძლოა, დღესდღეობით მაშინდელი ვარჯიშის ინტენსიურობა (კვირაში სამჯერ) არ გამოიყურებოდეს ისე დაძაბულად თანამედროვე წვრთნასთან შედარებით, მაგრამ ამხანაგებსა და გულშემატკივრებსაც დიდად აოცებდათ ჯორჯიანის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა. ახლა წარმოიდგინეთ, მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა ერთმანეთთან შედუღებული! სწორედ ეს იყო ნოდარ ჯორჯიანის, როგორც უძლიერესი კალათბურთელის ფუნდამენტის საყვარელი კეა.

სხვათა შორის, ნიჭისა და შრომისმოყვარეობის მიმართება ხშირად წარმოჩნდება ხოლმე დიდი სპორტსმენებისადმი მიძღვნილ ნარკვევებში, მაგრამ ეტყობა, ეს კანონზომიერება, რამეთუ ნებისმიერი ღირსეული ათლეტის ნიჭი უშრომლად წარმოუდგენელია. უკეთეს შემთხვევაში, მხო-

ლოდ საკუთარ ნიჭზე დანდობილი სპორტსმენი მეტეორივით გაიქვავება და ვერ დატოვებს კვალს სპორტულ ცხოვრებაში. და პირიქით: ხანიერი და ნაყოფიერი იმ სპორტსმენთა ბიოგრაფია, რომლებმაც თავიანთ ნიჭს შრომა დაუდეს ბალავრად. საერთოდ, ნოდარ ჯორჯიანისთან ათლეტებმა დაამკვიდრეს ჩვენს სპორტში შრომის კულტურა. ცხადია, ამ ათლეტებს ახალი არაფერი გამოუგონებიათ, მაგრამ გამოკვეთილად მინც მათ ჩამოაყალიბეს ნიჭისა და შრომის ერთანობის აუცილებლობა. მე კარგად მახსოვს, თუმცა მაშინ სპორტსმენთა ყველაზე უმცროსი თაობის ვეკუთვნოდა, როგორ იქცა კვირაში სამჯერადი ვარჯიშები ყოველდღიურ წვრთნად, შემდეგ — დღეში ორჯერად, მოგვიანებით კი, სამჯერად ვარჯიშებადაც კი. თითქოს ნოდარ ჯორჯიანის თაობისთვის ეს ძალიან ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო. მართლაც ასე გახლდათ, რადგან ვეტერანების დამოკიდებულება წლების განმავლობაში შესისხლბორცებული წვრთნა-ვარჯიშის პრაქტიკისადმი პრინციპულად უნდა შეეცლილიყო და ბევრი მათგანისათვის ეს შეუძლებელი გამოდგა, მაგრამ ნოდარ ჯორჯიანისთვის არა: იგი ვარჯიშის ინტენსიურობის „ოფიციალურ“ გაზრდამდე ყოველდღიურად ვარჯიშობდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, დიდი სპორტსმენები მუდამ უსწრებენ თავის დროსო. თუმცა იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი დარგის დიდ მოღვაწეზეც... მოულოდნელად საუბრის მიმართულება იცვლება ნოდარ ჯორჯიანის სტუმრების მოსვლასთან დაკავშირებით. ორივე ომბადანდლია: ერთი მისი მეგობარი საბჭოთა კავშირის გმირი უკლება, ხოლო მეორე, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სამამულო ომის ვეტერანი ჩალაძე.

უკლებამ ჩალაძე მეგობარს წარუდგინა საკმარისი „ოც“, ჯორჯიანის ჩალაძის გვარი გაეგონა, რომ უშალ კვითხა, ამა და ამ წელს, ამა და ამ ფონზე ხომ არ იბრძოდით. განცვიფრებულმა სტუმარმა დაუდასტურა ნათქვამი.

საიდუმლო აქ არაფერია: სტუდენტობის პერიოდში ნოდარ ჯორჯიანი სწავლა და კალათბურთი დროებით მიატოვა, რათა სამშობლოს თავისუფლებისთვის ებრძოლა.


...კალათბურთის მერედა დავუბრუნდით, როცა სტუმრებმა საუბრით გული იგვრეს და დაგვეშვიდობნენ. მას ბევრი რამ უნახავს, ცხოვრება მისთვის არ ყოფილა ოცლი, თუმცა ამ სხეულითა და სულით ვაჟკაც კაცს არასოდეს დაუშვილია, არავის წინაშე ქედი არ მოუხრია და დღეს შეუძლია თამამად გაუსწოროს თვლი თავისზე უფროსებსაც, თანატოლებსაც და უმცროსებსაც. მაგრამ ეს უადგილო, ამპარტანული სიამაყე არ გვეგონათ (თუმცა ძნელია მუდამ მოზომო სიამაყის ზღვარი), ეს არის საკუთარი ღირსების გრძობა, რომელიც მან გამოატარა საკმაოდ რთულ ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, ფრონტზეც და ზურგშიც, კალათბურთის მოედანზეც და სტუდენტურ აუდიტორიაშიც, მერეც, ცხოვრების გზებზე.

ჩემთვის, ისევე როგორც მკითხველისათვის, ამ კაცის ბიოგრაფიაში ბევრი რამ არის საინტერესო და საგულისხმო. ზოგ რამეს შეიტყობთ ამ სახელდახელო ინტერვიუ-ჩანართში.

● ბატონო ნოდარ, მაინც რით უნდა აიხსნას, შალაძისთან არ იყოს (კონსერვატორიაში მისდევს გამოცდებზე რომ ჩაჭრეს), როგორ დაიასამიქმ თავიდან გუნდში რომ არ მივლით?

— ასეთი რამ ხდება ხოლმე ცხოვრებაში და, მაშასადამე, სპორტშიც. ეს შეიძლება ნებისმიერ მწვრთნელს დაემართოს. ვთქვათ და, დასამიძის უარის შემდეგ კალათბურთის არ გავყოლოდი, მაშინ ხომ ვერავინ მიხედვოდა მწვრთნელის უნებლიე შეცდომას? ამიტომ ამ კახუსს მაინც დამამინდი დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭო. მით უმეტეს, რომ შალვა დასამიძე იყო ზედმიწევნით კვალიფიციური, აღდგომის და განსწავლული

მწვრთნელი. მან კაცობრივად მოიყვანა შემდგომ ცნობილი სპორტსმენების მთელი პლეადა. შინაგადაცულები მოყვარული გრძელვადიანი სპორტი პერტიკულად ერთი საუკეთესო სარბიფი და სპორტსმენის თავისი პირობებით ბევრი რამ შეეძლო გვექმნინა მშობლიური ქვეყნის სახელის განდობისთვის. ეს იყო მისი მოღვაწეობის ქვაკუთხედი. როგორც მწვრთნელი, იყო მეტად მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი. ყველა ადამიანს მსგავსად, მასაც ჰქონდა გარკვეული სისუსტეები. მაგალითად, ცეცხლოვანი ტემპერამენტის მითოვკა მუდამ არ შეეძლო, ეს კი პედაგოგის ნაკლია. ზოგჯერ უჭირდა აკადემიური ცნებებისაგან განთავისუფლება, მაგრამ მას იმდენი ღირსება ჰქონდა, რომ შესაძლოა, მისი ხასი-



ათის ამ თავისებურებების მოტანა სპორტში არ იყოს. მაგრამ მე მწამს, რომ პედაგოგები მართლაც თავიანთი ღირსებებით კი არა, ნაკლოვანებებითაც საგულსხმოდ გაკვეთილებს გვაძლევენ.

ისე კი, უნდა ითქვას, როგორც მწვრთნელებში, პარტიზონებშიც ბედი მუდამ მწყობლობდა.

● სიტყვამ მოიტანა და, თქვენი თაობის დროინდელ გუნდებსა და კალათბურთელებზე რას გვეტყვით?

— თაობა მეტად პირობითი ცნებაა. თუ სპორტსმენის ბიოგრაფია ხანგრძლივია, იგი რამდენიმე თაობასაც კი მოიცავს. უფრო სწორი იქნება, ჩემს თაობას ომისწინა და ომის შემდგომ თაობებს თუ ვუწოდებთ. რომელიმე კალათბურთელის გამოყოფა მიჭირს, მაგრამ, ალბათ, ყველაზე ძლიერი თაობა მოვიდა ორმოციანი წლებში. აქედან ამოდის დიდი კალათბურთელის ოთარ ქორჭიას ვარსკვლავი და მასთან ერთად — კალათბურთელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავი. საქართველოში რამდენიმე ძლიერი გუნდი იყო. მე თამაშში მომიხდა სამ უძლიერეს გუნდში: „ნაუკაში“, რომელიც, ფაქტობრივად, დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლის ნაკრები იყო, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში და ბოლოს, თბილისის „დინამოში“. სამივე გუნდი დიდ წარმატებებს აღწევდა საკავშირო სარბიფზე. მაგალითად, 1941 წელს, ომამდე, „ნაუკაში“ შამადგენლობაში ლენინგრადში გამართულ ათი ქალაქის ტურნირში მეორე ადგილი დაიკავე, უკვე ომის მიწურულს, 1944 წელს, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომელშიც მე ვთამაშობდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მომდევნო წელს კი მეორე ადგილზე გავდით. 1950 წლიდან თბილისის „დინამოში“ მიმიწვიეს. ამ გუნდთან ერთად 1950 წელს მოვიგე საკავშირო თასი, ათი ქალაქის ტურნირი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. 1951 წელს კი „დინამოში“ მხოლოდ საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმარჯვა. იმ წელიწადს ოთარ ქორჭია და მე ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისთვის ვმზადდებოდი. 1953-54 წლებში ზედიზედ მოვიგეთ საკავშირო ჩემპიონატი.

ეს იყო სიკაბუჯის, ახალგაზრდობის დაუნიწყარი წლები, ქართული კალათბურთის ოქროს ხანა. მერე კი, თამაშობდი დიდი კალათბურთელების გვე-

რდით. ამ თაობის ლიდერი და წინამძღოლი უთუოდ იყო ოთარ ქორჭია, რომელიც გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებით და საოცარი ნიჭიერებით. მაგრამ მისი უმთავრესი ღირსება იყო ლიდერის თანდაყოლილი თვისებები და უშიშარი ბუნება. არასოდეს არ შეპუებია იგი არც ერთ მეტოქეს. მისი პირადი მაგალითი და მხნეობა მთელ გუნდს აღანთებდა საბრძოლველად.

ჩემი კარიერა მე თავად შევწყვიტე, სხვის უთქმელად ვფიქრობ, კიდევ შემიძლო გუნდისთვის სარგებლობის მოტანა, მაგრამ გურამ მინაშვილის „დინამოში“ მოსვლის შემდეგ მივხვდი, იგი ღირსეული შემცვლელი იყო და ჩემი ავტორიტეტი მხოლოდ დაბარკვლებდა მის სწრაფ ზრდას. უნდა ითქვას, რომ გურამმა ჩემი წინასწარმეტყველება „გადაჭარბებით შეასრულა“ და იქცა კალათბურთის ვარსკვლავად. რაც შეეხება სხვა კალათბურთელებს, მათზე საუბარი შორს წა-

დის. ამ თაობის ლიდერი და წინამძღოლი უთუოდ იყო ოთარ ქორჭია, რომელიც გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებით და საოცარი ნიჭიერებით. მაგრამ მისი უმთავრესი ღირსება იყო ლიდერის თანდაყოლილი თვისებები და უშიშარი ბუნება. არასოდეს არ შეპუებია იგი არც ერთ მეტოქეს. მისი პირადი მაგალითი და მხნეობა მთელ გუნდს აღანთებდა საბრძოლველად.

ჩემი კარიერა მე თავად შევწყვიტე, სხვის უთქმელად ვფიქრობ, კიდევ შემიძლო გუნდისთვის სარგებლობის მოტანა, მაგრამ გურამ მინაშვილის „დინამოში“ მოსვლის შემდეგ მივხვდი, იგი ღირსეული შემცვლელი იყო და ჩემი ავტორიტეტი მხოლოდ დაბარკვლებდა მის სწრაფ ზრდას. უნდა ითქვას, რომ გურამმა ჩემი წინასწარმეტყველება „გადაჭარბებით შეასრულა“ და იქცა კალათბურთის ვარსკვლავად. რაც შეეხება სხვა კალათბურთელებს, მათზე საუბარი შორს წა-

დის. ამ თაობის ლიდერი და წინამძღოლი უთუოდ იყო ოთარ ქორჭია, რომელიც გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებით და საოცარი ნიჭიერებით. მაგრამ მისი უმთავრესი ღირსება იყო ლიდერის თანდაყოლილი თვისებები და უშიშარი ბუნება. არასოდეს არ შეპუებია იგი არც ერთ მეტოქეს. მისი პირადი მაგალითი და მხნეობა მთელ გუნდს აღანთებდა საბრძოლველად.

● თქვენ დაგავიწყდათ კიდევ ერთი გუნდი, რომელიც თავის დროზე თამაშობდით...

— არა, არ დამვიწყებია, ბოლოსთვის მოვიტოვე ქვეყნის მთავარ გუნდში გამოსვლა ქართველი კალათბურთელებისთვის მუდამ იყო და არის დიდი ღირსება და პატივის საქმე. ბოლოს და ბოლოს, ვეროპა, მსოფლიო ვერ გაიციონდა ქორჭიებს, საკანდელიძეს, მინაშვილს, მოსეშვილს, უგრეხელიძესა და სხვებს, ისინი ნაკრების წევრები რომ არ ყოფილიყვნენ.

ჩემთვის ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში იმითაც არის საგულისხმო, რომ რამდენიმე წლის მანძილზე ერთად გამოვდიოდით ოთარ ქორჭია და მე. ეს იყო ნაკრების ფაქტიური დებიუტი ვეროპულ სარბიფზე. მასსოვს, 1947 წელს პირველად გადავლახეთ საკალათბურთო რუბიკონი და პრალაში ვძლიერეთ ვეროპის ყველა გუნდს. სხვათა შორის, ერთ-ერთ შეხვედრაში დავამარცხეთ ვიგორის გუნდი, რომელიც მაშინ რატომღაც ვეროპულ ტურნირში მონაწილეობდა. მე დამევალა ამ გუნდის ყველაზე ძლიერი თავდასმხმელის მონტესერის მეურვეობა. ეს კალათბურთელი თამაშებს იგებდა. ამ მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა გველისებური მითამაშე მიწოდა, რადგან მოედანზე სამმაგი მოძრაობა შევასრულე.

ეს მოძრაობა რამდენჯერმე გავიმეორე. მონტესერის ისე გავუხადე საქმე, რომ მცველად მე კი არა, ის იქცა. დაუნიწყარი იყო ჩვენთვის პირველი ოლიმპიადი. ჰელსინკიში მხოლოდ კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებთან, ამერიკელებთან დავამარცხდით. მაგრამ მეორე ადგილი ოლიმპიადაში პირველად მონაწილე გუნდისთვის უთუოდ კარგი შედეგი იყო. ამ გუნდში ბევრი ვარსკვლავი გამოდიოდა: ქორჭია, ბუტაუტასი, კონევი, პეტკივიჩი, ლისოვი...

● გუნდებსა არ იყოს, თქვენს სწავლაში ვარსკვლავი კორექტივები შეიტანა ცხოვრებამ...

— როგორც ითქვა, ომამდე უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით. ომის შემდეგ გადავიწყვიტე დავბრუნ-

ნებოდი უნივერსიტეტის კანონი სხვა განხრით. დახმარებისათვის — მიგნარითი მაშინდელ რეპტორს ნიკო კეცხოველს და შევთავაზე, თუ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩამრიცხავთ, „დინამოდან“ უნივერსიტეტის გუნდში სათამაშოდ გადმოვალ-მეთქი. მან აღმითქვა დახმარება, მაგრამ კატეგორიულად უარყო ჩემი „დინამოდან“ გადასვლა, საქართველოს უნივერსიტეტის გუნდში სპორტსმენი ჩემი აზრით, ამ პატარა, უმნიშვნელო ფაქტშიც იგრძნობოდა ჩვენი შესანიშნავი მეცნიერისა და მამულიშვილის დიდი ადამიანური, მოქალაქეობრივი ღირსება. იგი იყო უდარებელი პედაგოგი და დიდად მზრუნველი ახალგაზრდობის ინტერესებისათვის, მისი მოსიყვარულე...

● რაც უნდა იყოს, თქვენი დროის კალათბურთის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ბევრი რამ შეიცვალა. დიარსებები ვეღვანათვის ცნობილია, მაგრამ ამჟერად გვანტერესებს, რით ჩამორჩება დღევანდელი კალათბურთი თქვენი თაობის დროინდელს?

— ყველა დროის კალათბურთის თავისი ხელწერა და თავისებურება ახასიათებს. ის, რომ კალათბურთი ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე წარმოუდგენლად წავიდა წინ (ტექნიკა, ფიზიკური მომზადება, მეცნიერების აქტიური შეჭრა, ვარჯიშის მეტოდოგია და სხვა), ცნობილია და ამაზე, როგორც უკვე შევთანხმდით, ახლა აღარ ვისაუბრებთ.

რა არ მომწონს დღევანდელ კალათბურთში?

წინანდელთან შედარებით ძალზე დაზარალდა თამაშის სანახაობრივი მხარე. ეს რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ, ბურთი და მოედანი პირდაპირი მნიშვნელობით გიგანტებს დარჩათ, შედარებით ტანდაბალ მოთამაშეთა როლმა კი იკლო. მოედნის შუა ნაწილმა მეტწილად დაკარგა ფუნქცია და ფაქტობრივად, ვერავითარ ბრძოლას ვერ შეხვდა, რაც ერთგვარად აღარბიებს და ერთფეროვანს ხდის კალათბურთს...

● სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

— ამ შეკითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. კალათბურთი ისეთი თამაშია, რომელიც, ადრე თუ გვიან, თავად მიიგნება გამოსავალს. მე კი მგონია, რომ, მაგალითად, დიდად წაადგებოდა მისი შინაარსისა და სანახაობრივი მხარის გამდიდრებას კალათის თუნდაც ერთი სანტიმეტრით დაბალბა. ასეთ შემთხვევაში, გიგანტების განუყოფელი „ბატონობა“ ფარკვე ერთგვარად შეიზღუდებოდა.

... მე მოვესწარი იმ დროს, როცა კიროვის პარკის მოედანზე „დინამოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა არცთუ მაღალი, მაგრამ საოცრად პლასტიკური კალათბურთელი ნოდარ ჯორჯიანი. მაყურებლისათვის, რომელიც უწინარეს ყოვლისა, თავდასმხმელებს ეთაყვანებოდა და მათს შედგინა იერიშებს აღტაცებით გმებოდა, იგი მთლად ტიპიური მოთამაშე არ იყო. ნოდარ ჯორჯიანი სასწავლებს სწავლიდა, ოლინპ, მეტწილად საკუთარი კარის უფლებელო ფისას. მაგრამ, როცა მაღალი ნახტომით საკუთარი კალათიდან ასხლურტო ბურთს მისწვდებოდა და საიერშიოდ დაიჭრებოდა, მის ყურბას არაფერი სჭობდა. მისი თამაში მაღალი ტექნიკის, საოცარი აზარტისა და ნამდვილი საკალათბურთო ხელოვნების ნაერთი იყო. მე მასსოვს, ერთ შეხვედრაში, თუ არა ვცდები, ერევნის გუნდთან თბილისის „დინამო“ პირველ ტაიმს აგებდა 12 ქულის სხვაობით, მის შემადგენლობაში იყო ყველა ვარსკვლავი ნოდარ ჯორჯიანის საუკეთესო მცველი მოედანზე გამოვიდა და თამაშის მსვლელობაც რადიკალურად შეიცვალა. ის მატჩი თბილისელებმა 24 ქულით მოიგეს. ასეთი თამაში ბევრი ახსოვთ ნოდარ ჯორჯიანის ელვარე ნიჭის თაყვანისმცემლებს.

შეუძლებელია ქართულმა კალათბურთმა, რომელსაც ასეთი უბრალოვალესი წარმომადგენლები ჰყავდა, ხელახლა არ იპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი საკავშირო და საერთაშორისო სარბიფზე.

